წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის

შესახებ ანგარიში

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი - ნანა ქობალია
თანამდებობის დასახელება - ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარის მოადგილე

ფრაქციის დასახელება ___ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"
კომისი(ებ)ის დასახელება - სოციალურ საკითხთა კომისია.

არჩევის წესი (მაჟორიტარული ოლქის მითითებით)- პროპორციული

საანგარიშო პერიოდი - 2022 წლის 01 ნოემბრიდან 2023 წლის 01 ნოემბრამდე

ანგარიშის ტიპი (რიგითი, რიგგარეშე) - რიგითი

I.საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა:

1.სულ საკრებულოს სხდომის რაოდენობა - 24
საკრებულოს სხდომებზე დასწრება - 22

2.სულ კომისიის სხდომების რაოდენობა - 19 **მ/შ დროებითი კომისიების-**
კომისიის სხდომებზე დასწრება - 11

3.სულ ფრაქციების სხდომების რაოდენობა - 9
ფრაქციის სხდომებზე დასწრება - 9

4. საკრებულოს წევრების მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები:
- წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.

- წალენჯიხის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის თაობაზე;

- წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის ს 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმის თაობაზე;

- წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ანგარიში 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ;

- სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასაფინანსებელი პროექტების შესახებ;

- წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ;

- წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერის სტრუქტურული ერთეულების და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების მიერ 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენა;

- „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ და აღნიშნულ წესში ცვლილებების შეტანა;

- წალენჯიხის მუნიციპალიტეტში პირველკლასელთა კვებით უზრუნველყოფის პროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ

5. ის საკითხები, რომლებსაც საკრებულოს წევრმა მხარი არ დაუჭირა:
- წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 დეკემბრის N40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

- წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ბულვარში, პარკში ან სკვერში წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის ყოფნის აკრძალვასთან დაკავშირებული ღონისძიებების გატარების წესის დამტკიცების შესახებ;

6. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა - 18
შეხვედრებზე მონაწილე მოქალაქეთა რაოდენობა - 210

7. მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები
- ფახულანის ადმინისტრაციულ ერთეულში საშონიოსა და ქალაღალის უბანში ხიდ-ბოგირის, გაბიონის და სანიაღვრე არხის მოწყობა;
- ფახულანის ადმინისტრაციულ ერთეულში საგერგედოს უბანში გარე განათების მოწყობა;
- ფახულანის ადმინისტრაციულ ერთეულში ფახულანი- წალენჯიხის მიმართულებით საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფა;
- ფახულანის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა საუბნო გზებზე მოხრეშვითი სამუშაოების ჩატარება.

8. მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები (მათ შორის, დადებითად გადაწყვეტილი კონკრეტული საკითხები)
- წყოუში- ფახულანი-ლია-ეწერი-წალენჯიხას მიმართულებით ამოქმედდა უფასო ტრანსპორტი კვირაში 2 -ჯერ;
- სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში ფახულანის ერთ უბანში მოეწყო ბეტონის გზა, წყოუშის უბანში მოპირკეთდა სასაფლაომდე მისასვლელი გზა, ქალაღალში მოეწყო ხიბოგირი, ჭველეს უბანში მოეწყო გარე განათება, ჩატარდა სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის აღმოფხვრითი სამუშაოები, ამჟამად მიმდინარეობს ხიდ-ბოგირის მშენებლობა და სანიაღვრე არხის შეკეთება.

II. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა

ვარ ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე და როგორც ფრაქციის ასევე კომისიის სხდომებზე ვაფიქსირებ ჩემს პოზიციებს მუნიციპალიტეტში არსებულ პრობლემებთან, ამომრჩევლებთან შეხვედრებზე მოსახლეობის მიერ დასმულ საკითხებთან დაკავშირებით. ასევე ვმონაწილეობდი როგორც მერიის სამსახურების ღონისძიებებში ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გამართულ ტრენინგ-სემინარებში.

შევსების თარიღი _ 30.10.2023 წ.

წარდგენის თარიღი - 30.10.2023წ

ხელისმოწერა _____